საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01-10/18

ქ. ბათუმი 05 მარტი, 2021წ.

ბსუ-ს სპეციალური სასწავლო სოციალური პროგრამის „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში განხორციელების მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 24–ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე–15 მუხლის, „სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სპეციალური სასწავლო სოციალური პროგრამის „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 9 მარტის №4 გადაწყვეტილებისა და სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის, სტუდენტთა კარიერული განვითარების და მხარდაჭერის განყოფილების უფროსის, ლაშა მიქელაძის 2021 წლის 02 მარტის MES 3 21 0000186749 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი ბსუ-ს სპეციალური სასწავლო სოციალური პროგრამის „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულისემესტრში განხორციელების მიზნით.
2. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვროს 20 000 (ოცი ათასი) ლარით.
3. კონკურსის ჩატარების ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:
   ა) ბსუ-ს სტუდენტთა განცხადებებისა და საბუთების მიღების პერიოდი - 2021 წლის 09 მარტიდან 11 მარტის ჩათვლით, ელექტრონულად: Portal.bsu.edu.ge-ზე (წერილი კანცელარიას მეშვეობით);
   ბ) წარმოდგენილი განცხადებებისა და საბუთების საკონკურსო კომისიის მიერ განხილვის პერიოდი - 2021 წლის 12-15 მარტი;
   გ) კონკურსის შედეგების გამოქვეყნება კომისიის სამუშაო ადგილზე (ბსუ-ს II კორპუსი, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სამუშაო ოთახთან და ბსუ-ს ვებგვერდზე)- არაუგვიანეს 2021 წლის 15 მარტი;
   დ) კონკურსის შედეგების გასაჩივრება (აპელაცია) 2021 წლის 16 მარტი (ბსუ-სტუდენტური პორტალის მეშვეობით);
   ე) საკონკურსო კომისიის მიერ სააპელაციო საჩივრების განხილვა და საბოლოო შედეგების ბსუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნება - 2021 წლის 17 მარტი;
   ვ) შეღავათის მინიჭების შესახებ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების გამოცემა 2021 წლის 19 მარტი.საკონკურსო განცხადებებისა და საბუთების მიღება განხორციელდეს ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტი (ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის 35/32, მეორე კორპუსის სტუდენტთა კარიერული განვითარების, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტის ოთახი) და გატარდეს სარეგისტრაციო ჟურნალში.
4. პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად, სტუდენტებმა ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტში (მისამართი ქ.ბათუმის რუსთაველის/ნინოშვილის 32/35 მე-2 კორპუსი პირველი სართული), უნდა წარმოადგინონ:
   ა) განცხადება (თანდართული ფორმით - დანართი 1);
   ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობისა (პასპორტის) და დაბადების მოწმობის ასლი (წარედგინება დედანთან ერთად);
   გ) ფაკულტეტის მიერ გაცემული ცნობა სტუდენტის აკადემიური მოსწრების შესახებ (ცნობა გაიცემა მხოლოდ სტუდენტის აქტიურ სტატუსში მყოფ პირებზე);

დ) შეღავათის კრიტერიუმის/კატეგორიის განსაზღვრისათვის საჭირო დოკუმენტაცია, რომელიც გათვალისწინებულია სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სპეციალური სასწავლო სოციალური პროგრამის „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 9 მარტის #4 გადაწყვეტილებით (დამტკიცებული პროგრამის მე-4 მუხლი);

5. ბსუ-ს სპეციალური სასწავლო სოციალური პროგრამის „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში განხორციელების მიზნით, შეიქმნას საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ედიშერ ჩავლეიშვილი – ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატის უფროსი (კომისიის თავმჯდომარე);

ბ) მერაბ დიასამიძე – სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსი - (კომისიის წევრი);

გ) ლაშა მიქელაძე – სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სტუდენტთა კრიერული განვითარებისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი (კომისიის მდივანი);

დ) რევაზ ოკუჯავა – სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის, კუტურისა და სპორტის განყოფილების უფროსი (კომისიის წევრი);

ე) გიორგი დიასამიძე – იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი – კომისიის წევრი;

ვ) ირმა დიასამიძე – საფინანსო–ეკონომიური დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი – კომისიის წევრი (კომისიის წევრი);

ზ) დავით ზოიძე - სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე (კომისიის წევრი)

6. კომისიამ მუშაობისას იხელმძღვანელოს წინამდებარე ბრძანებითა და ,,სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სპეციალური სასწავლო სოციალური პროგრამის „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 9 მარტის №4 გადაწყვეტილებით.
7. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე, (ველში ,,სწავლა“ და ,,კონკურსები“) და უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში თვალსაჩინო ადგილას, ასევე გასაცნობად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს;
8. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურს.
9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **ა. მითაიშვილი**

ბსუ-ს სპეციალური სასწავლო სოციალური პროგრამის
„სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში 2020-2021 სასწავლო წლის
გაზაფხულის სემესტრში განხორციელების მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 05 მარტის N 01-10/18 ბრძანების
დანართი 1

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბატონ ალექსანდრე მითაიშვილს

---- ----------

-

(ფაკულტეტი)

(საგანმან.პროგრამა და სწავლების წელი)

--- ---

(სახელი, გვარი, პირადი ნომერი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

,,სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სპეციალური სასწავლო სოციალური პროგრამის „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 9 მარტის №4 გადაწყვეტილების თანახმად განსაზღვრულ, ქვემოთ აღნიშნულ (მონიშნულ) შემდეგ კატეგორიას:

○ ა) სტუდენტი, რომლის ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, მისი ოჯახის სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 100 000 ქულაზე და წინა სემესტრის შედეგების მიხედვით, ყველა სასწავლო დისციპლინაში მიღებული შეფასებები, საშუალო არითმეტიკულით **ტოლი ან მეტია 71 ქულაზე;**

○ ბ) სტუდენტი, რომელიც არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და წინა სემესტრის შედეგების მიხედვით ყველა სასწავლო დისციპლინაში მიღებული აქვს შეფასებები, **ტოლი ან მეტია 51 ქულაზე;**

○ გ) სტუდენტი, რომელიც არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულის ან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებულის შვილი და წინა სემესტრის შედეგების მიხედვით ყველა სასწავლო დისციპლინაში მიღებული შეფასებები, საშუალო არითმეტიკულით **ტოლი ან მეტია 71 ქულაზე;**

○ გ).1. სტუდენტი, რომელიც არის საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის შვილი და წინა სემესტრის შედეგების მიხედვით ყველა სასწავლო დისციპლინაში მიღებული შეფასებები, საშუალო არითმეტიკულით **ტოლი ან მეტია 71 ქულაზე;**

○ დ) სტუდენტი, რომელიც არის ობოლი (დედით ან მამით) და წინა სემესტრის შედეგების მიხედვით ყველა სასწავლო დისციპლინაში მიღებული შეფასებები, საშუალო არითმეტიკულით **ტოლი ან მეტია 71 ქულაზე;**

○ ე) სტუდენტი, რომელიც არის იძულებით გადაადგილებული (დევნილის) სტატუსის მქონე და წინა სემესტრის შედეგების მიხედვით ყველა სასწავლო დისციპლინაში მიღებული შეფასებები, საშუალო არითმეტიკულით **ტოლი ან მეტია 71 ქულაზე;**

○ ვ) სტუდენტი, რომელიც არის მრავალშვილიანი (ოთხი შვილით) ოჯახის წევრი და წინა სემესტრის შედეგების მიხედვით ყველა სასწავლო დისციპლინაში მიღებული შეფასებები, საშუალო არითმეტიკულით **ტოლი ან მეტია 71 ქულაზე;;**

○ ზ) სტუდენტი, რომელიც არის მრავალშვილიანი (ხუთი და მეტი შვილით) ოჯახის წევრი და წინა სემესტრის შედეგების მიხედვით ყველა სასწავლო დისციპლინაში მიღებული შეფასებები, საშუალო არითმეტიკულით **ტოლი ან მეტია 71 ქულაზე;**

○ თ) სტუდენტი, რომელიც მიეკუთვნება შესაბამისი კომპეტენციის მქონე სახელმწიფო უწყების მიერ დადგენილი ეკომიგრანტის (სტიქიით დაზარალებული) ოჯახს, რომლის სახლის დაზიანება შეფასებულია პირველი ან მეორე კატეგორიით და წინა სემესტრის შედეგების მიხედვით ყველა სასწავლო დისციპლინაში მიღებული შეფასებები, საშუალო არითმეტიკულით **ტოლი ან მეტია 71 ქულაზე;**

○ ი) სტუდენტი, რომელიც არის მარტოხელა დედა, რაც დასტურდება შესაბამისი კომპეტენციის მქონე სახელმწიფო უწყების მიერ გაცემული დოკუმენტებით და წინა სემესტრის შედეგების მიხედვით ყველა სასწავლო დისციპლინაში მიღებული შეფასებები, საშუალო არითმეტიკულით **ტოლი ან მეტია 71 ქულაზე;**

○ კ) სტუდენტი, რომელიც არის მხოლოდ ერთი მშობლის მზრუნველობის ქვეშ, რაც დასტურდება შესაბამისი კომპეტენციის სახელმწიფო უწყების მიერ გაცემული დოკუმენტებით და წინა სემესტრის შედეგების მიხედვით ყველა სასწავლო დისციპლინაში მიღებული შეფასებები, საშუალო არითმეტიკულით **ტოლი ან მეტია 71 ქულაზე;**

○ ლ) სტუდენტი, რომლის და ან/და ძმა ასევე არის ბსუ-ს სტუდენტი და წინა სემესტრის შედეგების მიხედვით ყველა სასწავლო დისციპლინაში მიღებული შეფასებები, საშუალო არითმეტიკულით **ტოლი ან მეტია 71 ქულაზე;**

განცხადებას თან ერთვის ჩემს მიერ მითითებული შეფასების კატეგორიის დამადასტურებელი შემდეგი დოკუმენტაცია:

1. ----------;
2. ----------;
3. ----------;
4. ----------;

გთხოვთ, განიხილოთ ჩემი კანდიდატურა და გამარჯვების შემთხვევაში მომცეთ შესაბამისი კატეგორიის დაფინანსება.

დანართი: —— ფურცელი.

განმცხადებლის საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: _____

ტელეფონი: _____ მობილური _____

E:mail _____

-- _____

(ხელმოწერა)

_____

(თარიღი)